

## მუხლი 1008. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

I. ხანდაზმულობის სამართლებრივი ინსტიტუტი, მისი მნიშვნელობა.....	1
II. მოთხოვნის ხანდაზმულობა 1008-ე მუხლის მიხედვით და მისი ურთიერთ-მიმართება ხანდაზმულობის ზოგად წესებთან .....	2
III. დელიქტური მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურებები .....	5
1. დანაშაულის ჩადენის შედეგად მიყენებული ზიანის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის დაწყება და შეწყვეტა.....	5
2. ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტი პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებთან (სარჩო) მიმართებაში .....	5

### I. ხანდაზმულობის სამართლებრივი ინსტიტუტი, მისი მნიშვნელობა

სამოქალაქო სამართალი იცნობს ხანდაზმულობის სამართლებრივ ინსტიტუტს. 1  
სასარჩლო ხანდაზმულობა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაში პირს შეუძლია მოითხოვოს დარღვეული უფლების აღდგენა.<sup>1</sup> ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას არ ახდენს ურთიერთობის შინაარსზე და არ იწვევს საფუძვლად მყოფი ვალდებულების შეწყვეტას, არამედ გულისხმობს უფლების იძულებითი აღსრულების შეუძლებლობას.<sup>2</sup> შესაბამისად, ხანდაზმულობის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ უფლების აღდგენა დამოკიდებული ხდება უფლების დამრღვევის ნებაზე და დაზარალებული კარგავს ანაზღაურების სასამართლო გზით მოთხოვნის უფლებას.

ხანდაზმულობის ინსტიტუტი მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით. იგი 2  
უზრუნველყოფს საქმესთან დაკავშირებული ფაქტების და მოვლენების დადგენის და აღნიშნულით დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის პროცესს. გარდა ამისა, ხანდაზმულობის ინსტიტუტს ეკისრება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციის, ასევე ბრუნვის მონაწილე სუბიექტების ურთიერთკონტროლის ფუნქცია და ქმნის დარღვეული უფლების დროულად აღდგენის სტიმულს.<sup>3</sup>

<sup>1</sup> შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 ივნისის N ას-547-515-2012 განჩინება.

<sup>2</sup> *Heinrichs*, in Palandt BGB Komm., 70 Aufl., Überblick v § 194, Rn. 4-6.

<sup>3</sup> შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2912 წლის 11 ივნისის N ას-547-515-2012 განჩინება; *Heinrichs*, in Palandt BGB Komm., 70 Aufl., Überblick v § 194, Rn. 7-11.

## II. მოთხოვნის ხანდაზმულობა 1008-ე მუხლის მიხედვით და მისი ურთიერთ-მიმართება ხანდაზმულობის ზოგად წესებთან

3 1008-ე მუხლის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი. ამ ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ხანდაზმულად არ ჩაითვლება მოთხოვნის დაყენება, თუ ზიანის ფაქტი მოგვიანებით გამოვლინდა.<sup>4</sup> ნორმის სიტყვასიტყვითი შინაარსი მიუთითებს, რომ ზიანის ფაქტის და ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ შეტყობა ხანდაზმულობის ვადის ათვლის ალტერნატიული წინაპირობებია. სწორედ ამ შინაარსით არის ციტირებული ხსენებული ნორმა სასამართლო პრაქტიკაშიც. 130-ე მუხლის ზოგადი წესის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება უფლების დარღვევის შეტყობის მომენტიდან. ზოგადი წესი არ უთითებს ზიანის მიმყენებელი პირის იდენტიფიკაციის აუცილებლობაზე, რაც ლოგიკურია, ვინაიდან სამართლებრივ ურთიერთობებში, განსაკუთრებით, როდესაც მხარეთა შორის უკვე არსებობს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, უფლების დარღვევა მომდინარეობს იმ პირისგან, რომლის თაობაზე უფლებადარღვეული პირისათვის იმთავითვე ცნობილია და, შესაბამისად, არ არსებობს ვადის ათვლის მომენტის გადავადების საჭიროება.<sup>5</sup> ვადის ათვლის დამატებითი პირობის არსებობა უკავშირდება დელიქტური სამართლის თავისებურებას. დელიქტურ სამართალში პოტენციური ვალდებულებითი ურთიერთობა არსებობს პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ, რომელიც შემდგომში რეალიზდება ზიანის მიყენების მომენტიდან (992, ველი 1). ანუ ზიანის ფაქტის დადგომამდე შესაძლოა ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობდეს და შესაბამისად დაზარალებულმა, შესაძლოა, საერთოდ არ იცოდეს ზიანის მიმყენებელი პირის არსებობის შესახებ. განუსაზღვრელი პირთა წრის კონკრეტულ ზიანის მიმყენებელზე დაკონკრეტება ხდება ზიანის მიყენების მომენტში. თუმცა, მთელ რიგ შემთხვევებში, ზიანის დადგენა თავისთავად არ გულისხმობს ზიანის მიმყენებელი პირის ვინაობის დადგენას. მაგალითად, შენიღბული პირის მიერ ყაჩაღური თავდასხმის შედეგად დაზარალებულისთვის თავდასხმის მომენტიდანვე არის ცნობილი ზიანის არსებობის შესახებ, მაგრამ იგი ფაქტობრივად მოკლებულია შესაძლებლობას, განახორციელოს წარმოშობილი დელიქტური მოთხოვნის უფლება, ვინაიდან მოთხოვნის ადრესატი არ არის ცნობილი. ასეთ შემთხვევებში, უსამართლო იქნებოდა, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაწყებული ყოფილიყო იმ მომენტში, როდესაც უფლება დარღვეულია, მაგრამ დაზარალებულს არ შეუძლია დარღვეული უფლების სამართლებრივი დაცვა. სწორედ

<sup>4</sup> შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 2 დეკემბრის N ას-584-552-2011 განჩინება.

<sup>5</sup> შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 ივნისის N ას-547-515-2012 განჩინება.

დელიქტური ურთიერთობების თავისებურება განაპირობებს 1008-ე მუხლში ვადის ათვლის, 130-ე მუხლისაგან განსხვავებული, დამატებითი წინაპირობის არსებობას. ამასთან დაკავშირებით თბილისის სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ 1008-ე მუხლის წესი გამოიყენება მაშინ, როდესაც სახეზეა მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება და ასევე სახეზეა ამ ქმედებით მიყენებული ზიანი და, შესაბამისად, დაზარალებულს წარმოეშვა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მაგრამ უცნობია ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ვინაობა.<sup>6</sup> ანუ, სასამართლოს განმარტებით, ზიანის არსებობის ფაქტის და ზიანის მიმყენებლის ვინაობის დადგენა, როგორც წესი, თანხვედრაშია, ხოლო, თუ გარემოებათა თავისებურების გათვალისწინებით ზიანის ფაქტის შესახებ შეტყობის მომენტში დაზარალებულისთვის უცნობია ზიანის მიმყენებლის ვინაობა, ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს მხოლოდ მისი ვინაობის შეტყობის შემდეგ. ამ განმარტების, ასევე 1008-ე მუხლის სისტემურ-ლოგიკური ანალიზის საფუძველზე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის მიუხედავად, რომელიც, ალბათ, კანონის ტექსტის რედაქციული უზუსტობაა, ზიანის მიყენების ფაქტის (ანუ უფლების დარღვევის ფაქტის — 130-ე მუხლი) და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ვინაობის შეტყობა ვადის ათვლის დაწყების კუმულატიურ წინაპირობებად უნდა განვიხილოთ.

1008-ე მუხლი კიდევ ერთი ასპექტში განსხვავდება 130-ე მუხლის შინაარსისგან, 4 კერძოდ, იმ დროს როდესაც 130-ე მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს პოზიტიურ ცოდნასა და ბრალეულ არცოდნას ვადის ათვლის წინაპირობებად (უნდა სცოდნოდა), 1008-ე მუხლის მხოლოდ პოზიტიურ ცოდნაზე უთითებს. ამის მიუხედავად, სასამართლო პრაქტიკაში დიდი ხანია ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომ 1008-ე მუხლის შემთხვევაშიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ვადის ათვლის წინაპირობების შეტყობის ობიექტური (პოზიტიური ცოდნა) და სუბიექტური (ბრალეული არცოდნა 130-ე მუხლის შესაბამისად) ფაქტორები.<sup>7</sup> 130-ე მუხლის გამოყენების აუცილებლობაზე გამოტანილი არაერთი გადაწყვეტილების ფონზე განსხვავებულ მსჯელობას გვთავაზობს 2011 წლის 8 ივნისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შემდგომში 2012 წლის 16 თებერვალს დაუშვებლობის მოტივით ძალაში იქნა დატოვებული უზენაესი სასამართლოს მიერ. აღნიშნულ საქმეზე „პალატამ განმარტა, რომ დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი ადგენს ხანდაზმულობის ვადის გამოთვლის სპეციალურ წესს, კერძოდ, ასეთი

<sup>6</sup> შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 3 მაისის N 28/4454-10 განჩინება.

<sup>7</sup> შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 12 ივლისის N ას-851-799-2012 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის N ას-182-175-2013 განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 3 მაისის N 28/4454-10 განჩინება.

მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. დასახლებული დანაწესი გამორიცხავს ხანდაზმულობის ზოგადი წესით გამოთვლისათვის გათვალისწინებულ ისეთ პირობებს, როგორცაა მოთხოვნის წარმოშობის დროის დადგენისას მოთხოვნის მქონე პირის მიერ უფლების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღებულად ცნობა ინფორმაციის მიღების ან იმ დროის გათვალისწინებით, როცა პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი). **ნაცვლად ამისა, კანონი ხანდაზმულობის ვადის დაწყებას პირდაპირ უკავშირებს ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ ინფორმაციის მიღების დროს.**<sup>8</sup> გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება დროში უსწრებს შემდგომში გამოტანილ გადაწყვეტილებებს, რომლებიც დელიქტური მოთხოვნების ხანდაზმულობასთან მიმართებაში ისევ 130-ე მუხლის გამოყენების საჭიროებაზე საუბრობენ. ამდენად, მხოლოდ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე რთულია დავასკვნათ, რომ მკვიდრდება ახალი სასამართლო პრაქტიკა. ერთი მხრივ, 130-ე მუხლის წინაპირობების გავრცელება დელიქტურ მოთხოვნებზე გონივრულია ვადის ხანდაზმულობის ათვლის ერთიანი სტანდარტის შემუშავების მიზნებიდან გამომდინარე. მეორე მხრივ, ცალსახაა, რომ 1008-ე მუხლის განცალკევებულად არსებობა სწორედ დელიქტის სპეციფიკით არის განპირობებული და ამიტომაც, არის მასში მოცემული ვადის ათვლის წინაპირობები, რომლებიც განსხვავდება ზოგადი წესისგან. საკითხავია, რა ფარგლებში არის პოტენციური დაზარალებული ვალდებული თვალყური ადევნოს იმგვარი მოვლენებს, რომლებიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით გამოწვეული. მაგალითად, თუ დასახლებულ პუნქტთან ახლოს მდებარე საწარმო არ იცავს გარემოსდაცვით წესებს და ამის გამო დასახლებული პუნქტის მოსახლეს ჯანმრთელობა გაუარესდება, ხანდაზმულობის ვადის ათვლა პირველი სიმპტომების გამოვლენიდან უნდა დაიწყოს თუ სამედიცინო დაწესებულების მიერ შესაბამისი გამოკვლევების ჩატარების მომენტიდან. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ დელიქტური სამართალი უწინარესად აბსოლუტური უფლებების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევებს ეხება და არ იქნება მიზანშეწონილი ამგვარ დაზარალებულზე გავრცელდეს უფლების განხორციელების იმაზე მკაცრი წესი, ვიდრე კანონის ტექსტიდან გამომდინარეობს. ამდენად, კომენტარის ავტორი ემხრობა იმ პოზიციას, რომ 130-ე მუხლის პირდაპირი გამოყენება დელიქტურ მოთხოვნებზე არ არის მიზანშეწონილი. უფრო გონივრული იქნებოდა, ვადის ათვლა მიზნული იყოს დაზარალებულის მიერ კონკრეტული ინფორმაციის შეტყობის დროზე ან, უკიდურეს

<sup>8</sup> შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 16 თებერვლის N ას-1626-1616-2011 განჩინება.

შემთხვევაში, მოხდეს 130-ე მუხლის წინაპირობების მოდიფიკაცია და ბრალეული არ ცოდნის უფრო მაღალი სტანდარტის — უხეში გაუფრთხილებლობის დაწესება.

### III. დელიქტური მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურებები

#### 1. დანაშაულის ჩადენის შედეგად მიყენებული ზიანის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის დაწყება და შეწყვეტა

დანაშაულის ჩადენის შედეგად მიყენებული ზიანის მოთხოვნის ხანდაზმულობასთან 5  
გასათვალისწინებელია, რომ ვადის ათვლა დაიწყება ზიანის შეტყობის და ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ფაქტობრივი იდენტიფიკაციის მომენტიდან, თუ საკმარისად განსაზღვრადია ზიანის მიმყენებელი პირის ვინაობა და მნიშვნელობა არ აქვს, თუ მოგვიანებით ზიანის მიმყენებლის წინააღმდეგ გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი.<sup>9</sup> ეს არსი შედარებით ახალი მიდგომა, რომელიც გასხვავდება წინა წლების სასამართლო პრაქტიკისაგან.<sup>10</sup>

ნიშანდობლივია, რომ ხანდაზმულობის ვადა არ შეწყდება 138-ე მუხლის შესაბამისად 6  
მხოლოდ იმის გამო, რომ დაზარალებულმა მიმართა საგამოძიებო ორგანოებს ზიანის მიმყენებლის ქმედების გამოძიების მოთხოვნით. მისი ამგვარი ქმედება მიმართულია ზიანის მიმყენებლის დასჯის და არა კომპენსაციის მიღებისკენ. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ათვლა შეწყდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული განახორციელებს 138-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებებს, რომელიც მიმართულია ფულადი ვალდებულების შესრულების დაკისრებისკენ.<sup>11</sup>

#### 2. ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტი პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებთან (სარჩო) მიმართებაში

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლოა ეხებოდეს პერიოდულად გადასახდელი 7  
სარჩოს დაკისრებას (408 II, 1006 I). თუ ზიანის მიმყენებელი უარს აცხადებს პერიოდულად გადასახდელი სარჩოს ან სხვა სახის პერიოდულად ასანაზღაურებელ თანხის გადახდაზე, მაშინ დელიქტური მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა უნდა აითვალოს ზიანის და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ შეტყობის მომენტიდან,<sup>12</sup> ხოლო თუ ზიანის მიმყენებელი სამართლებრივი გზით მოთხოვნის დაკისრების გარეშე ნებაყოფლობით იხდის სარჩოს და შემდგომში უარს განაცხადებს სარჩოს გადახდაზე, აღნიშნული უნდა ჩაითვალოს პერიოდულად

<sup>9</sup> შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 2 დეკემბრის N ას-571-542-2013 განჩინება.

<sup>10</sup> შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 18 იანვრის N ას-1333-1454-04 განჩინება.

<sup>11</sup> შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 3 მაისის N 28/4454-10 განჩინება.

<sup>12</sup> შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 11 ივლისის N ას-247-237-2013 განჩინება.

შესასრულებელი ვალდებულების დარღვევად და გავრცელდეს 129 II მუხლის წესი. ამასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე განმარტავს შემდეგს: „საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ ყოველთვიური პენსიის გადახდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან, სამი წელია. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება“.<sup>13</sup>

---

<sup>13</sup> შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 14 აპრილის N ას-677-1007-07 განჩინება.